

ლელა ხაჩიძე
(საქართველო)

X საუკუნის ქართული და ბულგარული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან

„სჯანის“ წინა ნომერში სასულიერო პოეზიის ორი თვალსაჩინო ნარმომადგენლის — იოანე მინჩხისა (X ს.) და ანდრეა პიროსის (VIII ს.) მემკვიდრეობის შედარებითი კვლევის შედეგების პუბლიკაციის საშუალება მოგვეცა. იქვე გამოვაქვეყნეთ დიდმარხვის ერთი დღის — ბზობის სამშაბათისათვის განკუთვნილი ორივე ავტორის საგალობლები (ხაჩიძე: 135-139).

წინამდებარე პუბლიკაციაში კვლევის არეალი კიდევ უფრო ფართოვდება, რაც გულისხმობს ერთი მეტად საინტერესო ლიტერატურული მოვლენის განხილვას ძველი ბულგარული მწერლობიდან. პარალელები X საუკუნის დიდი ქართული ჰიმნოგრაფის — იოანე მინჩხის და ამავე პერიოდის თვალსაჩინო ბულგარული მოღვაწისა და მწერლის — კონსტანტინე პრესლაველის შემოქმედებას შორის მოულოდნელად მსგავსი და საყურადღებო აღმოჩნდა.

წმ. გიორგისადმი მიძღვნილ ჰიმნოგრაფიულ კანონს, რომელიც ივ. ჯავახიშვილმა აღმოაჩინა სინას მთაზე მუშაობისას, ახლავს შემდეგი სათაური: „ხოლო ესე გალობანი მას კარგსა გეორგი მეფესა, დიდსა, დიდითა ვედრებითა აღუნერვებთან მინჩხისადა“. ეს სათაური ნათლად წარმოგვიდგენს ორ პიროვნებას — ერთი მათგანია მეფე გიორგი, რომელიც მოიხსენიება ეპითეტებით „კარგი“ და „დიდი“. არანაკლებ საყურადღებოა ის გარემოება, რომ იგი იოანე მინჩხს „დიდითა ვედრებითა“ შესთხოვს წმ. გიორგისადმი მიძღვნილი საგალობლის შექმნას. ეს გარემოება, უდავოდ, მინჩხის გამორჩეულ ავტორიტეტზე მეტყველებს.

მეფე გიორგის სახელი აღბეჭდილია მინჩხის ამ საგალობლის აკროსტიქშიც: „წმიდავო გეორგი, შეენიე გეორგი მეფესა წინაშე მეუფეთა მეუფისა და ადიდე“ (ხაჩიძე 1987: 335-349).

აქ მოხსენიებული მეფე გიორგის ვინაობის დადგენის ცდა უკავშირდება პ.ნგოროყვას სახელს. მისი აზრით, ეს უნდა იყოს დასავლეთ საქართველოს ანუ აფხაზეთის მეფე — გიორგი, რომლის მეფობის ხანა ემთხვევა იოანე მინჩხის მოღვაწეობას (X საუკუნის I ნახევარი). ეს მოსაზრება გაზიარებულ იქნა სამეცნიერო ლიტერატურაში. აკად. კ.კეკელიძე იმონმებს „ქართლის ცხოვრების“ სიტყვებს გიორგი აფხაზთა მეფის შესახებ: „სრული ყოვლითა სიკეთითა, სიმკნითა და ახოვნებითა, ღმრთისმოყუარე იყო უმეტეს ყოველთა, მაშენებელი ეკლესიათა, მონყალე გლახაკთა, უხუი და მდაბალი და ყოვლითა კეთილითა სათნოებითა სრული“ (კეკელიძე 1960: 171). ამას უნდა დაემატოს ის გარემოებაც, რომ ამ მეფის სახელს უკავშირდება ჭყონდიდის საეპისკოპოსოს დაარსება.

ამრიგად, წმ. გიორგისადმი მიძღვნილ საგალობელზე დართული სათაურის მიხედვით იკვეთება როგორც დიდი ჰიმნოგრაფის, ისე დღეისათვის ნაკლებად შესწავლილი ღმრთისმეტყველის მეფის სახე.

ჩვენს მიერ მინჩხის უცნობი მემკვიდრეობის — 77 საგალობლის გამოვლე-

ნამ ცხადყო, რომ ის იყო შემდგენელი და რედაქტორი ქართული „მარხვანის“ უძველესი რედაქციისა. I ქართული „მარხვანის“ შედგენით იოანე მინჩხმა შექმნა ახალი ეპოქა ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიაში. ამ კრებულის ყველა შემდგონდროინდელ რედაქციას საფუძვლად უდევს I ქართული „მარხვანი“. იოანე მინჩხი ერთადერთი ავტორია ქართველ ჰიმნოგრაფთა შორის, რომელსაც ამგვარი სირთულისა და მოცულობის სამუშაო აქვს ჩატარებული. მისი დღეისათვის ცნობილი მემკვიდრეობა ბევრჯერ აღემატება სხვა ქართველ ჰიმნოგრაფთა საგალობლებს.

ბერძნულიდან თარგმნილ საგალობლებთან ერთად, ეს კრებული შეიცავდა თავად იოანე მინჩხის 100-ზე მეტ საგალობელს, მათ შორის „მარხვანისათვის“ განკუთვნილ ყველა მცირე ფორმის საგალობელს.

ამრიგად, იოანე მინჩხი ავტორი I ქართული „მარხვანის“ მთელი სტიქარონული ნაწილისა (ხაჩიძე 1987: 25-26). ეს საგალობლები, რომლებიც ქრისტიანული პოეზიის შედევრებს წარმოადგენს, შექმნილია ამ კრებულის რთული მოთხოვნების გათვალისწინებით. დიდი ტრადიციულობის გვერდით, მათ ახასიათებს დიდი ორიგინალურობაც. ამ ორი ფაქტორის შერწყმა განუმეორებელ სახეს ანიჭებს იოანე მინჩხის პოეზიას.

„მარხვანისათვის“ განკუთვნილი ასზე მეტი საგალობლით ბიზანტიური ტიპის „მარხვანში“ იოანე მინჩხმა შეიტანა ორიგინალური, ქართული ფენა. ქართულ ჰიმნოგრაფიაში ეს არის ბერძნულიდან თარგმნილი ჰიმნოგრაფიული კრებულის გაქართულების ერთადერთი შემთხვევა. ამგვარი რამ, ზოგადად, ნაკლებად მოსალოდნელია ჰიმნოგრაფიის — სასულიერო მწერლობის ამ ერთ-ერთი ყველაზე კანონიკური დარგის ისტორიაში.

მსგავს მოვლენას მივაკვლიეთ X საუკუნის ბულგარული ჰიმნოგრაფიის ისტორიაში. X საუკუნე გამორჩეული ხანაა ბულგარეთის ისტორიაში. ესაა ხანა სიმეონ პირველის მოღვაწეობისა (893-927წწ.), რომლის ნებით მოხდა არსებითი ცვლილება ქვეყნის სულიერ ცხოვრებაში — ბერძნულენოვანი ლიტურგიის ბულგარულენოვანით შეცვლა. მისივე ნებით, 893 წელს, ეროვნულმა კრებამ ბულგარული ოფიციალურ ენად სცნო სახელმწიფოსა და ეკლესიისათვის. ამავე წელს სიმეონ I-მა ბულგარეთის ძველ დედაქალაქში — პლისკაში არსებული ლიტერატურული სკოლა გადაიტანა ქვეყნის ახალ დედაქალაქში — პრესლავში. პრესლავი იქცა ბულგარული ლიტერატურისა და კულტურის უმნიშვნელოვანეს ცენტრად.

სიმეონ პირველთან შეთანხმებით და მისი მხარდაჭერით სარგებლობდა ამ ეპოქის უმნიშვნელოვანესი მოღვაწე — კონსტანტინე პრესლაველი.

კონსტანტინე პრესლაველი ბულგარეთის ისტორიაში ცნობილია, როგორც მეცნიერი, მწერალი და მთარგმნელი. ის იყო თვალსაჩინო წარმომადგენელი პრესლავის ლიტერატურული სკოლისა IX საუკუნის მინურულსა და X საუკუნის დასაწყისში.

ბულგარული მწერლობის ისტორიაში იგი ცნობილია, ძირითადად, როგორც ავტორი „დიდაქტიკური სახარებისა“. ესაა ქადაგებათა პირველი კრებული სლავურ მწერლობაში. საინტერესოა, რომ ამავე კრებულში შესულია კონსტანტინე პრესლაველის „ანბანური (ალფაბეტური) ლოცვები“, რომლებიც სლავური საეკლესიო პოეზიის პირველ ნიმუშებადაა მიჩნეული.

კონსტანტინე პრესლაველი იყო პირველი ავტორი, რომელმაც სლავურ მწერლობაში შექმნა ისტორიული ქრონიკა — „ისტორიები“. 906 წელს, სიმეონ I-ის

დავლებით, მან თარგმნა ათანასე ალექსანდრიელის „ოთხი სიტყვა არიანელთა წინააღმდეგ“, რაც გამოწვეული იყო ამ ერესის გავრცელებით იმდროინდელ ბულგარეთში. მასვე ეკუთვნის ნაშრომი „მსახურება მეთოდოსისათვის“, რომელშიც აღწერს წმ. მეთოდოსის ბრძოლას ძველი სლავური ენის აღიარებისათვის.

კონსტანტინე პრესლაველის კიდევ ერთი ნაშრომია „ქება წმიდა სახარებათა“, რომელშიც ის უარყოფს უცხო ენის, კერძოდ, ბერძნულის პრიორიტეტულობას და ნათელყოფს ძველი სლავური ენის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ბულგარული კულტურისათვის.

ამრიგად, კონსტანტინე პრესლაველის სახით X საუკუნის ბულგარეთს ჰყავდა უნივერსალური მოღვაწე, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ბულგარული სასულიერო მწერლობის რამდენიმე დარგს. მთელი მისი შემოქმედება ეროვნული ნიშნითაა აღბეჭდილი.

X საუკუნის დასაწყისში, სიმეონ დიდის მეფობის ხანაში, პრესლავის ლიტერატურული სკოლისათვის დამახასიათებელ სულისკვეთებას ასახავს კონსტანტინე პრესლაველის თანამედროვის — ჩერნორიზეც ხრაბრის მოღვაწეობაც, კერძოდ, მისი ნაშრომი — „ასოთათვის“ (სირაძე 1992: 60-70).

ამრიგად, IX საუკუნის მინურულსა და X საუკუნის დასაწყისში აშკარად იკვეთება ეროვნული სულისკვეთება იმ გარემოში, რომელსაც უკავშირდება სასულიერო მწერლობის ორი უდიდესი წარმომადგენელი — იოანე მინჩხი და კონსტანტინე პრესლაველი. როგორც ირკვევა, მათ შორის საოცარი მსგავსებაა უმნიშვნელოვანესი ლიტურგიკულ — ჰიმნოგრაფიული კრებულის — „მარხვანის“ წინაშე განეული ღვაწლის თვალსაზრისითაც. აქვე გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ „მარხვანის“ სახელით ცნობილია კრებული, რომელიც ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი ნაწილია ქრისტიანული პოეზიის — ჰიმნოგრაფიის ვრცელი რეპერტუარისა. მის შემდგენლებს განსაკუთრებული წვლილი აქვთ შეტანილი ჰიმნოგრაფიის ისტორიაში, რადგან ამ კრებულის შედგენაზე განეული შრომა, ფაქტობრივად, გულისხმობს უამრავი საგალობლისა და ავტორის მემკვიდრეობის მოპოვებასა და გადარჩენას.

1984 წელს, პოლანდიაში, ნაიმეიხენის უნივერსიტეტის ინიციატივით, გამოქვეყნდა ძველი ბულგარული ხელნაწერი, რომელიც XI საუკუნით თარიღდება. ესაა „კიჩევოს“ იგივე „ბიტოლის ტრიოდისონი“ (Zaimov 1984). იგი შეიცავს სლავური „მარხვანის“ ერთ-ერთ უძველეს რედაქციას და დიდ ყურადღებას იმსახურებს ამ კრებულის შესწავლისათვის.

სლავური „მარხვანის“ შემცველი ეს ხელნაწერი საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ შეიცავს ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში ნაკლებად ცნობილი ავტორის — კლიმენტი სტუდიელის საგალობლებს. ესაა მთელი ციკლი „მარხვანისათვის“ განკუთვნილი სამსაგალობლებისა. როგორც ცნობილია, ესაა ამ კრებულისათვის სპეციფიკური საგალობლების სახეობა. სწორედ მათ მიხედვით მიიღო სახელწოდება თვით ამ კრებულმა — „ტრიოდისონი“ (ქართულად — „სამფსალმუნეთაი ხუედრად“).

სლავური „მარხვანის“ შემცველ ამ უნიკალურ ხელნაწერს მიეძღვნა გ.პოპოვის სტასტია (Попов 1978).

ხელნაწერი ნაკლულია. შეიცავს დიდმარხვის მასალას I პარასკევიდან VI (ბზობის) ოთხშაბათამდე. მასში წარმოდგენილი „მარხვანის“ რედაქცია X საუკუ-

ნით თარიღდება, თვით ხელნაწერი კი XI საუკუნეშია გადაწერილი. ხელნაწერი გადაწერილია გიორგი გრამატიკოსს კიჩევოს (იგივე სკოპიის) ახლოს, ბულგარეთში.

„ბიტოლის ტრიოდის“ გამომცემლის, ი. ზაიმოვის აზრით, მისი ორიგინალი შეიძლება შექმნილიყო ოპრიდაში, რომელიც ბულგარული ქრისტიანული კულტურის უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენდა X-XI საუკუნეებში (Zaimov 1984: 2).

ეს უნიკალური ხელნაწერი, როგორც ირკვევა, დაკავშირებულია კონსტანტინე პრესლაველის სახელთან. სწორედ ის უნდა იყოს რედაქტორი და შემდგენელი სლავური „მარხვანის“ ამ ერთ-ერთი უძველესი რედაქციისა.

კლიმენტი სტუდიელის სამსაგალობლების ციკლთან ერთად, ხელნაწერში ასევე შესულია მთელი ციკლი უცნობი (სავარაუდოდ, ბიზანტიელი) ავტორისა. კონსტანტინე პრესლაველი, როგორც ჩანს, თავად თარგმნიდა ბერძნულიდან მის მიერ შედგენილ „მარხვანში“ შესულ ამ საგალობლებს.

„ბიტოლის ტრიოდის“ გამომცემლის – ი. ზაიმოვის აზრით, ეს არაა ბერძნული ორიგინალის ზუსტი თარგმანები. კონსტანტინე პრესლაველი გვაძლევს კლიმენტი სტუდიელის სამსაგალობლების თავისუფალ თარგმანებს (Zaimov 1984: 1).

ამრიგად, „ბიტოლის ტრიოდის“ მიხედვით, კონსტანტინე პრესლაველი წარმოგვიდგება, როგორც დამოუკიდებელი მთარგმნელობითი პრინციპების მქონე მოღვაწე, რომელსაც ეკუთვნის სლავური „მარხვანის“ ერთ-ერთი უძველესი და საყურადღებო რედაქცია.

ხელნაწერი ჰიმნოგრაფიის ისტორიისათვის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იმ თვალსაზრისით, რომ შეიცავს **ორიგინალური — სლავური საგალობლების მთელ ციკლს — 80-ზე მეტ მცირე ფორმის საგალობელს, რომელთა ავტორია კონსტანტინე პრესლაველი.**

კონსტანტინე პრესლაველს ეკუთვნის მთელი ციკლი მცირე ფორმის საგალობლებისა, რომლებიც მოიცავს დიდმარხვის თითქმის მთელ პერიოდს. მათი უმრავლესობა „თვთძლისპირია“ — შეიცავს საკუთარ რიტმულ საზომებსა და მუსიკალურ კომპოზიციებს. ამ ტიპის საგალობლები (იდიომელები) შედარებით მცირე რაოდენობით გვხვდება თვით ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაშიც კი (მეტრეველი 1971: 048). განსაკუთრებით იშვიათია მათი არსებობა ამა თუ იმ ქვეყნის (არაბერძნულენოვან) ქრისტიანულ პოეზიაში. ქართულ ჰიმნოგრაფიაში ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს იოანე მინჩხი — ერთადერთი ავტორი, რომელსაც ეკუთვნის მთელი რიგი „თვთძლისპირი“ სტიქარონებისა.

ამრიგად, კონსტანტინე პრესლაველს შეუქმნია მთელი სტიქარონული ნაწილი ორიგინალური საგალობლებისა სლავური „მარხვანისათვის“. ეს საგალობლები ჰიმნოგრაფიის შედევრებს წარმოადგენს. უღრმეს თეოლოგიურ განათლებასთან შერწყმული ლირიზმი ამ საგალობლებს მეტად შთამბეჭდავს ხდის.

წარმოვადგენთ ამ ავტორის **ბზობის სამშაბათისათვის** განკუთვნილი მცირე ფორმის საგალობლის ტექსტს:

- 1 ^ⲗⲥⲐⲏ : ^ⲒⲒⲗⲗ : ^ⲗⲗ : ⲗ
- 2 ⲛⲈ ᲠⲤⲬⲀⲏ ᲘⲈⲛⲈ Გⲏ.Ⲉ ᲒⲗⲗⲘⲈⲛⲏ ᲒⲈᲠⲏ
- 3 ⲥⲏⲈ. ᲒⲗⲕⲐ ᲕⲈ ᲈᲒⲒⲗⲗⲐ ᲗⲗⲒⲗⲐ ᲒᲚⲈⲏ.
- 4 ⲛⲕ ᲒᲐⲗⲗᲕ᲌ Იⲛᲈ ᲒⲗⲗⲦⲈᲛ᲌ ᲒᲚᲐⲥᲠᲠᲠ.
- 5 ⲕⲗᲒⲗⲗ ᲒᲗⲕⲗᲒᲐⲈⲛᲒⲗ. ᲈᲈ ᲏ ᲒᲐᲘᲐⲏ Მ᲌᲏ⲏ : ⲗ
- 6 ᲈ᲌ ᲒᲐᲚᲚᲒᲚ ᲈᲒᲒᲐᲦᲕⲗⲛ᲏Მ ᲥⲗᲐᲐ
- 7 ⲗᲚᲕⲏᲒⲗ. ᲏ ᲈ᲏ᲥᲐᲛ ᲛᲈᲦᲗᲈᲛᲒⲗ. ᲠᲗᲦ
- 8 Გⲗᲈ᲌Რⲏ Ქⲗ ᲗᲠᲈ ᲛᲐᲒⲗ. ᲥᲈᲐ᲏ ᲥᲗᲛ ᲒᲐᲒᲐ᲏
- 9 ᲗᲗ ᲈᲥⲏ. ᲈᲒᲗᲦᲦᲥᲦᲐ ᲏ ᲒⲏᲠᲕ ᲒᲚᲕ᲌ ᲥᲦᲠ
- 10 ^ⲒᲚ᲏. ᲒᲚᲈᲒᲚᲚ ᲥᲈᲈᲒᲗᲈᲈᲛ᲏᲏Ვⲗ.
- 11 ᲒⲗⲕᲐ ᲒᲚᲈᲒᲚ ᲏ ᲏᲏ᲠᲗᲐ ᲗᲗᲒᲗᲚ ᲈᲒᲒᲗᲦ᲏
- 12 ⲛⲕ ᲗᲗ Მᲈ Ქ ᲦᲈᲛ ᲗᲕᲦ᲏Თ ᲈᲒᲗᲈᲠⲏ. Რ
- 13 ᲈ᲏᲏ᲠᲗ᲏ ᲗᲕ᲏᲌. Რᲈ᲏᲏ᲠᲗᲈᲠᲐᲛᲠ Ღᲈᲈᲈ
- 14 ᲒᲗᲗ᲏ ᲒᲠ ᲈᲒ᲌Გ᲏. ᲛᲐᲠᲈ᲏ ᲒᲐᲚᲚᲒᲚ ᲗᲐᲥᲗ
- 15 ^ⲗᲕᲈ᲏᲏Თ. ᲒᲚᲈᲗ ᲒᲗᲥᲒᲗᲦᲈᲛ᲌. ᲏ ᲏ᲗᲒ ᲛᲗ
- 16 ^ⲒᲕᲚᲦᲈ ᲒᲗᲥᲒᲗᲦ ᲘᲈᲛᲈ ᲒᲗᲗ᲏. ᲠᲗᲈ᲏᲏ᲈᲛ᲌
- 17 ^ᲒᲕᲚᲦᲦᲗ ᲦᲈᲈᲒᲐ. Რ ᲥᲦᲠᲗ ᲈᲈᲦᲗᲗᲗᲒᲐ.
- 18 ^ⲗᲕᲈ ᲥᲒᲈ᲏ Მⲗ : ⲗ

იოანე მინჩხის შესაბამისი — ბზობის სამშაბათისათვის განკუთვნილი საგლობელი გამოვაქვეყნეთ „სჯანის“ წინა ნომერში, ამიტომ მის სრულ ტექსტს აქ აღარ წარმოვადგენთ.

იოანე მინჩხი ლიტურგიის იერუსალიმურ წესს მისდევს. ეს გარემოება მრავალმხრივაა არეკლილი მის შემოქმედებაში. ანალოგიური მდგომარეობა აღ-

მოჩნდა კონსტანტინე პრესლაველთანაც.

სახარების საკითხავთა იერუსალიმური სისტემის მიხედვით ბზობის სამშაბათს დადებულია შემდეგი საკითხავები: 1. ლუკა 16,19-31 (იგავი მდიდრისა და ლაზარეს შესახებ); 2. მათე 23, 1-39 (იესოს მიერ მნიგნობართა და ფარისეველთა მხილება); 3. იოანე, 9,1-38 (ბრმადშობილის შესახებ); 4. იოანე, 11, 55-57 (მღვდელთმოდლუართა და ფარისეველთა განზრახვა).

საინტერესოა, რომ საკითხავთა ამ სისტემიდან ორივე ჰიმნოგრაფი ასახავს მხოლოდ პირველს — ლუკა 16,19-31.

მინჩხის საგალობელი მთლიანად ამ იგავითაა შთაგონებული. სახარებისეულ საკითხავის მსგავსია საგალობლის სულისკვეთებაც, ზოგადი შინაარსიც და ფრაზეოლოგიაც. სახარებისეულ საკითხავში მდიდრის ვედრება საგალობელში ასეა გარდათქმული: „დაანთვე ჩუენ ზედა წყალობაჲ შენი“.

ყურადღებას იქცევს III ტროპარის დასაწყისში წარმოთქმული ერთგვარი „აღსარებაც“, რაც გამონეულია ცოდვით დაცემის უღრმესი განცდით:

„მამაო, ტკბილო და მოწყალეო,
რამცა ვილოცეთ, არა უწყით ჩუენ,
რამეთუ შეგინებულ ვართ
და განმაცუბრებს ჩუენ
ბრალთა და ცოდვათა ჩუენტა სიმრავლე“.

ყურადღებას იქცევს საგალობლის II ტროპარში წარმოდგენილი „სამოსლის“ სიმბოლიკა — მდიდრული, ბრწყინვალე სამოსის ტრანსფორმაცია ჯოჯოხეთის ალად:

„იხილეთ მდიდრისაჲ მის,
რომელი მარადის იმოსებოდა
სამოსლითა ბრწყინვალითა
და გლახაკთა არაჲ შეწყალებდა,
ან ჰმოსიეს ბნელი ალი ჯოჯოხეთს შინა,
ინუების და არაჲ დაინუების
და არა ოდეს ჰპოვებს განსუენებასა“.

მინჩხის ამ საგალობლის ბოლო ტროპარს წარმოადგენს ორიგინალური ღმრთისმშობლისანი, რომელშიც ყოვლადნმიდა გააზრებულია პირველქმნილი ედემის განსაახლებად მოვლენილ „სულიერ სამოთხედ“.

არანაკლებ დრამატულია კონსტანტინე პრესლაველის საგალობელი. უწყალო მდიდრისა და ლაზარეს სახარებისეულ იგავზე დაყრდნობით ახდენს კონსტანტინე პრესლაველი თემის ორიგინალურ განზოგადებას. მდიდრული პორფირითა და ბისონით „დამძიმებული“ სულის განწმენდას იგი სინანულის ცრემლით ცდილობს. მდიდრული სამოსის და ცხოვრების შესაბამისი სტილის საწინააღმდეგოდ, ავტორი იხსენებს ჯვარზე გაკრულ, „განშიშვლებულ“ მაცხოვარს და ევედრება მას მოწყალებას — ლაზარეს მსგავსად.

კონკრეტული სახარებისეული იგავი ავტორს განზოგადების უმაღლეს დონეზე აჰყავს სხვა ეპიზოდისა და მოვლენის — მაცხოვრის ჯვარცმასთან შეპირისპირებით. ეს მოულოდნელ მხატვრულ ეფექტს ქმნის. აქვე აშკარად იკვეთება ავტორის აზროვნების მასშტაბურობა.

ამრიგად, კონსტანტინე პრესლაველი და იოანე მინჩხი თითქმის თანამედროვენი — X საუკუნის I ნახევრის მოღვაწენი არიან. ორივე მათგანის შემოქმედება მჭიდროდაა დაკავშირებული „მარხვანის“ სახელით ცნობილ კრებულთან. ორივე მათგანს დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ კრებულის შედგენაში. ამასთან ერთად, მათ ეკუთვნით მთელი ციკლი „მარხვანისათვის“ განკუთვნილი მცირე ფორმის საგალობლებისა. ესაა შესაბამისი „მარხვანების“ მთელი სტიქარონული ნაწილი. ორივე მათგანის შემოქმედება გამოირჩევა პოეტური სრულყოფით და ბოლოს, ორივე მათგანის მოღვაწეობა ემთხვევა ეროვნული სულისკვეთებით გამორჩეული მეფეების — სიმეონ I-ისა და დასავლეთ საქართველოს, „აფხაზეთის“ მეფის — გიორგი I-ის მოღვაწეობის ხანას. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ კონსტანტინე პრესლაველი, ფაქტობრივად, იწყებს ბულგარული მწერლობის დიდ ტრადიციებს, იოანე მინჩხი კი ახალ ეპოქას ქმნის იმ დროისათვის უკვე ექვსი საუკუნის წინ დაწყებულ ქართულ სასულიერო მწერლობაში. ორივე მათგანის საგალობლები ჰიმნოგრაფიის შედეგებს წარმოადგენს.

დამონშებანი:

- Karabinov, Ivan. *“Postnaia Triod”*. Sankt-Peterburg: 1910 (Карабинов Иван. Постная Триода. СПб.: 1910).
- Khachidze, Lela. comp. and ed. *Ioane Monchkhis P'oezia*. Tbilisi: 1987 (ხაჩიძე, ლელა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო. იოანე მინჩხის პოეზია. თბილისი: 1987).
- Khachidze, Lela. *“Qartuli Qristianuli Kulturis Istoriidan”*. Tbilisi: 2000 (ხაჩიძე, ლელა. ქართული ქრისტიანული კულტურის ისტორიიდან. თბილისი: 2000).
- Khachidze, Lela. “Tipological Parallels (Towards the History of Christian Poetry From the 8th to 10th Century) (ხაჩიძე, ლელა. ტიპოლოგიური პარალელები (VIII-X საუკუნეების ქრისტიანული პოეზიის ისტორიიდან), სჯანი, 12, თბილისი: 2011).
- Metreveli, Elene. . comp. and ed. *“Zlispirni”*. Tbilisi: 1971 (მეტრეველი, ელენე. გამოსცა და გამოკვლევა დაურთო. ძლისპირნი. თბილისი: 1971).
- Popov, Georgi. *“Novootkrita Originalna Starobolgarska Chast v Teksta za Trioda”*. Sofia: 1978 (Попов Георги. Новооткрыта оригинална старобългарска част в текста за Триода. Български език кн. 6 София: 1978).
- Siradze, Revaz. *“Kultural - Literaturuli Paralelebi” Qristianuli Kultura da Qartuli Mwerloba*. Tbilisi: 1992 (სირაძე, რევაზ. კულტურულ-ლიტერატურული პარალელები. ნიგნძი: „ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა“. თბილისი: 1992.
- Zaimov Jordan. *The KICEVO TRIODIUM also known as BITOLA TRIODIUM*, Nijmegen: 1984.
- Wellesz, Egon. *A History of Byzantine Music and Hymnography*. Oxford: 1980.